სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება №23

2010 წ. 22 სექტემბერი

ქ. თბილისი

2010 წელს მოკლევადიანი ინდივიდუალური სამოგზაურო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების გაცემის მიზნით საგრანტო კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პროგრამისა და მასში მონაწილეობის პირობების დამტკიცების შესახებ

„მეცნიერების, ტექნოლოგიების და მათი განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 24[1] მუხლის, „მოკლევადიანი ინდივიდუალური სამოგზაურო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების გაცემის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2008 წლის 20 თებერვლის №30 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე–3 მუხლის მე–2 პუნქტის „ა", „ბ", „ბ[1]" და „გ" ქვეპუნქტების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის "ბ", „ე" და „თ" ქვეპუნქტების საფუძველზე და სსიპ „შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის" სამეცნიერო საბჭოს 2010 წლის 17 სექტემბრის №01 ოქმის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს საგრანტო კონკურსი 2010 წელს მოკლევადიანი ინდივიდუალური სამოგზაურო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების გაცემის მიზნით 2010 წლის 23 სექტემბერს.
2. დამტკიცდეს 2010 წელს მოკლევადიანი ინდივიდუალური სამოგზაურო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების გაცემის მიზნით საგრანტო კონკურსის პროგრამა და მასში მონაწილეობის პირობები ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
3. დაევალოს სსიპ „შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის" (შემდგომში – ფონდი) ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის კოორდინატორს (თ. გორგოძეს) წინამდებარე ბრძანების კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოქვეყნება ვებ–გვერდზე: www.rustaveli.org.ge.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

სულხან სისაური

გენერალური დირექტორი

<u>დანართი</u>
დამტკიცებულია სსიპ – შოთა რუსთაველის
ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური
დირექტორის 2010 წლის 22 ივლისის
№ 23 ბრძანებით

2010 წელს მოკლევადიანი ინდივიდუალური სამოგზაურო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების გაცემის მიზნით საგრანტო კონკურსის პროგრამა და მასში მონაწილეობის პირობები

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. მოკლევადიანი ინდივიდუალური სამოგზაურო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტის (შემდგომში – სამოგზაურო გრანტი) მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოს მეცნიერების მონაწილეობას საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში, რათა ინფორმაციის გაცვლისა და გამოცდილების გაზიარების შედეგად გააძლიეროს ადგილობრივი სამეცნიერო პოტენციალი და ხელი შეუწყოს საქართველოს მეცნიერების საერთაშორისო სამეცნიერო სფეროში ინტეგრაციას.

2. სამოგზაურო გრანტების საშუალებით ქართველ მეცნიერებს საშუალება ეძლევათ მონაწილეობა მიიღონ საზღვარგარეთ დაგეგმილ საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებაში.

3. 2010 წელს სამოგზაურო გრანტების გაცემის მიზნით გამოცხადებული საგრანტო კონკურსი (შემდგომში – კონკურსი) და მის ფარგლებში გაცემული სამოგზაურო გრანტები ფინანსდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან და მის სრულ ადმინისტრირებას ახორციელებს სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი (შემდგომში – ფონდი).

4. ფონდი უზრუნველყოფს:

ა) საკონკურსო კომისიის შექმნას, რომელიც ფონდის სამეცნიერო საბჭოს მიერ დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად შეაფასებს კონკურსში წარმოდგენილ საკონკურსო განაცხადებს;

ბ) საკონკურსო კომისიის მიერ დასაფინანსებლად შერჩეულ პრეტენდენტთა გამოვლენასა და დამტკიცებას;

გ) გამარჯვებულ პრეტენდენტთა დაფინანსებას და შემდგომ კონტროლს „მოკლევადიანი ინდივიდუალური სამოგზაურო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების გაცემის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 20 თებერვლის №30 დადგენილებითა და შესაბამისი საგრანტო ხელშეკრულებით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 2. კონკურსში მონაწილეობის მიღება

1. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:

ა) საქართველოს მოქალაქე ყველა აკადემიური ხარისხის (გარდა ბაკალავრისა) მქონე ფიზიკურ პირს;

ბ) საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც სწავლობენ აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში.

2. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეიძლება მხოლოდ ინდივიდუალურად. იმ შემთხვევაში, თუ სამეცნიერო ნაშრომს ჰყავს რამდენიმე თანაავტორი, აღნიშნული ნაშრომის პრეზენტაციისათვის კონკურსის ფარგლებში წარსადგენი ავტორის ვინაობას წყვეტს ავტორთა ჯგუფი.

3. შესაძლებელია ერთი და იმავე სამეცნიერო ნაშრომის წარდგენა თანაავტორების მიერ არა უმეტეს ორ სხვადასხვა სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად.

მუხლი 3. კონკურსის პროგრამა

1. სამოგზაურო გრანტი გაიცემა შემდეგი სახის საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად:

ა) კონფერენცია;

ბ) კონგრესი;

გ) ფორუმი;

დ) სიმპოზიუმი;

ე) სამუშაო შეხვედრა (სემინარი).

2. საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების თემატიკა უნდა იყოს კონკურსანტის სამეცნიერო მოღვაწეობის შესაბამისი.

მუხლი 4. კონკურსში მონაწილეობის პირობები

1. სამოგზაურო გრანტები გაიცემა მხოლოდ 2010 წლის 11 ოქტომბრიდან 2010 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით დაგეგმილ საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად.

2. სამოგზაურო გრანტი გაიცემა საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებაზე ფაქტობრივად ყოფნის დღეების მიხედვით (სამეცნიერო ღონისძიების ჩატარების თარიღი მითითებული უნდა იყოს ოფიციალურ წყაროებში/განცხადებაში), გამგზავრებისა და დაბრუნების დღეების ჩათვლით, მაგრამ არაუმეტეს 7 დღისა.

3. სამოგზაურო გრანტის მისაღებად აუცილებელი პირობაა საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებაში მოხსენებით გამოსვლა და/ან სასტენდო მოხსენების პრეზენტაცია.

4. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კონკურსანტს მიღებული უნდა ჰქონდეს პერსონალური მოწვევა საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიების ორგანიზატორისაგან და კონკურსანტის მიერ ორგანიზატორისათვის შეთავაზებული მოხსენებ(ებ)ის ან/და მოხსენებათა თეზისების მიღების დასტური.

5. სამოგზაურო გრანტის მინიჭებისას მხედველობაში მიიღება კონკურსანტის ნაშრომის/პრეზენტაციის საკონფერენციო და/ან სხვა ბეჭდვით და/ან ელექტორუნულ მასალებში გამოქვეყნება ღონისძიების ორგანიზატორების და/ან სპონსორების მიერ.

მუხლი 5. დაფინანსება

1. სამოგზაურო გრანტის დაფინანსება ითვალისწინებს საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობის ხარჯების სრულ ან ნაწილობრივ დაფარვას.

2. სამოგზაურო გრანტით დაფინანსების სრული პაკეტი მოიცავს:

ა) ტრანსპორტით (თვითმფრინავი (ეკონომ-კლასი), მატარებელი) ორმხრივი მგზავრობის, ასევე ქვეყნის ფარგლებს გარეთ ტრანსპორტის (ავტობუსი, მიკროავტობუსი, ტაქსი) დაქირავების ხარჯების ანაზღაურებას;

ბ) სადღეღამისო და საცხოვრებელი ფართობის დაქირავების ხარჯების ანაზღაურებას "მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის №231 ბრძანებულებით გათვალისწინებული ანაზღაურების ფარგლებში;

გ) მონაწილეობის/სარეგისტრაციო გადასახადს;

დ) სამოგზაურო დაზღვევის ხარჯებს;

ე) ვიზის ხარჯებს.

3. იმ შემთხვევაში, თუ კონკურსანტს საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობისათვის მიღებული აქვს ნაწილობრივი დაფინანსება სხვა ორგანიზაციიდან, ფონდი განიხილავს დანარჩენი ხარჯების დაფინანსების (ნაწილობრივი დაფინანსება) საკითხს.

4. სადღეღამისო და საცხოვრებელი ფართობის დაქირავების/სასტუმროს ხარჯების შედგენისას კონკურსანტმა უნდა ისარგებლოს "მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი

მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის №231 ბრძანებულებით.

5. სამოგზაურო გრანტის მოპოვების შემთხვევაში, სამოგზაურო გრანტის მიმღებს ფონდი ავანსად გადასცემს დამტკიცებული თანხის 90 პროცენტს.

6. დაფინანსებულმა პირმა ქვეყანაში დაბრუნებიდან 10 დღის ვადაში ფონდს უნდა წარუდგინოს გაწეული ხარჯების დამადასტურებელი ყველა დოკუმენტი, რის შედეგადაც მოხდება სრული ანგარიშსწორება. თუ წარდგენილი საბუთის თანახმად ხარჯები აჭარბებს საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის №231 ბრძანებულებით განსაზღვრული ხარჯების ნორმებს, ფონდი არ ანაზღაურებს დარჩენილ სხვაობას. თუ საცხოვრებელი ფართობის დაქირავების/სასტუმროს ხარჯები ნაკლებია ზემოაღნიშნული ბრძანებულებით განსაზღვრულ ნორმებზე, სამოგზაურო გრანტის მიმღები ვალდებულია უკან დააბრუნოს დაფიქსირებული სხვაობა. იმ შემთხვევაში, თუ ჩამოსვლიდან 10 დღის პერიოდში ფონდში არ იქნება წარდგენილი გაწეული ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტები, ფონდი იტოვებს უფლებამოსილებას უკან გამოითხოვოს გრანტის მიმღებისათვის ავანსად მიცემული თანხა. თუ წარმოდგენილი დოკუმენტები არ იქნება შესაბამისობაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან, ფონდი არ აანაზღაურებს შესაბამის ხარჯვით კატეგორიას.

7. სამოგზაურო გრანტის ფარგლებში არ ფინანსდება თანმხლები პირების სამგზავრო და სხვა ხარჯები, საქართველოს ტერიტორიაზე ადგილობრივი ტრანსპორტის ხარჯები (ტაქსი, ავტობუსი, მატარებელი), სამედიცინო დაზღვევა, საკომუნიკაციო (ტელეფონი, ფაქსი, ინტერნეტი) ხარჯები და აგრეთვე სხვა ნებისმიერი ხარჯი ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ხარჯების გარდა.

მუხლი 6. კონკურსზე წარსადგენი მასალები

1. კონკურსში მონაწილეობისათვის გრანტის მაძიებელმა ფონდში უნდა წარადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებაში წარსადგენი მოხსენების მიღების და მიწვევის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი. თუ ეს დოკუმენტები შედგენილია რომელიმე უცხო ენაზე, წარმოდგენილ უნდა იქნას თარჯიმნის/თარჯიმანთა ბიუროს ბეჭდით დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე;

ბ) საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებაში წარსადგენი მოხსენების რეზიუმე (ქართულ და ინგლისურ ენებზე);

გ) საკონკურსო განაცხადი (დანართი №1);

დ) სამოგზაურო გრანტის ბიუჯეტი (დანართი №2);

ე) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, ასევე ინფორმაცია კონკურსში მონაწილის სამუშაო ადგილის შესახებ, დადასტურებული დამსაქმებლის მიერ.

ვ) გრანტის მაძიებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ზ) ავიაბილეთების (ან, შესაბამისად, სხვა სატრანსპორტო საშუალებების) ჯავშანის ასლი (აგრეთვე, სამი სხვადასხვა ავიაკომპანიის ფასები იგივე რეისზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში);

თ) საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიების სამუშაო ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). იმ შემთხვევაში, თუ დოკუმენტი შედგენილია რომელიმე უცხო ენაზე, წარმოდგენილ უნდა იქნას თარჯიმნის/თარჯიმანთა ბიუროს ბეჭდით დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე;

ი) თანადაფინანსების შემთხვევაში, შესაბამისი ორგანიზაციის თანხმობის წერილი თანადაფინანსებაზე, თანხის მითითებით. იმ შემთხვევაში, თუ ასეთი წერილი შედგენილია რომელიმე უცხო ენაზე, წარმოდგენილ უნდა იქნას თარჯიმნის/თარჯიმანთა ბიუროს ბეჭდით დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

კ) საკონკურსო განაცხადში მითითებული 3 ყველაზე მნიშვნელოვანი პუბლიკაციის ასლები.

2. საკონკურსო დოკუმენტაცია, გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტის "ზ" და "კ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტებისა, აუცილებლად წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე დოკუმენტი უცხო ენაზეა შედგენილი, წარმოდგენილ უნდა იქნას თარჯიმნის/თარჯიმანთა ბიუროს ბეჭდით დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

3. საკონკურსო დოკუმენტაცია ფონდში წარმოდგენილი უნდა იქნას ნაბეჭდი და ელექტრონული სახით (CD-R). ამ მუხლის პირველი პუნქტის "ა", "ე", "ვ", "ზ", "თ", "ი" და "კ" ქვეპუნქტებით მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოდგენა ელექტრონული სახით სავალდებულო არ არის.

4. ფაქსით და ელექტრონული ფოსტით ფონდში გამოგზავნილი საკონკურსო მასალები ფონდში საკონკურსოდ არ მიიღება.

5. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის არასრულად წარმოდგენის შემთხვევაში ფონდი უფლებამოსილია არ განიხილოს შესაბამისი საკონკურსო განაცხადი კონკურსში მონაწილეობისთვის.

მუხლი 7. საკონკურსო დოკუმენტაციის ფონდში წარდგენის ვადები

1. კონკურსში მონაწილეობისათვის საკონკურსო დოკუმენტაციის წარდგენა ფონდში წარდგენა შესაძლებელია სამუშაო დღის განმავლობაში 10:00 საათიდან 18:00 საათამდე, შემდეგ ვადების დაცვით:

ა) 2010 წლის ოქტომბერში დაგეგმილი ღონისძიებებისთვის – არა უგვიანეს 2010 წლის 30 სექტემბრისა;

ბ) 2010 წლის ნოემბერი-დეკემბერში დაგეგმილი ღონისძიებებისთვის – არა უგვიანეს 2010 წლის 20 ოქტომბრისა.

2. საკონკურსო დოკუმენტაციის ფონდში წარდგენის ბოლო ვადის შემდგომ წარმოდგენილი საკონკურსო განაცხადები შესაბამისი პერიოდებისათვის საკონკურსოდ არ განიხილება.

მუხლი 8. საკონკურსო დოკუმენტაციის განხილვა

1. ფონდში წარმოდგენილ საკონკურსო დოკუმენტაციას განიხილავს და ფონდის სამეცნიერო საბჭოს მიერ დამტკიცებული შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად აფასებს ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილი საკონკურსო კომისია.

2. შესაბამისი პერიოდისათვის საკონკურსო განაცხადების წარდგენის ბოლო ვადიდან არა უგვიანეს 7 სამუშაო დღის ვადაში საკონკურსო კომისია გამოავლენს და ამტკიცებს დასაფინანსებლად შერჩეული პრეტენდენტებს.

მუხლი 9. ანგარიშგება

1. სამოგზაურო გრანტის მიმღებმა ქვეყანაში დაბრუნებიდან 10 დღის ვადაში ფონდს უნდა წარუდგინოს საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობის საბოლოო ანგარიში (პროგრამული და ფინანსური ნაწილები). იმ შემთხვევაში თუ საბოლოო ანგარიში არ იქნება წარმოდგენილი დადგენილ ვადაში ფონდის მიერ გრანტის მიმღებთან სრული ანგარიშსწორება არ მოხდება.

2. საბოლოო ანგარიშის პროგრამული ნაწილი შედგება:

ა) გრანტის მიმღების საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობის მოკლე აღწერილობა: თემატიკა, მოხსენების თარიღი, სამუშაო შეხვედრების ანოტაცია და სხვა - არაუმეტეს 3 გვერდისა;

ბ) საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიების მოხსენებების ბეჭდვითი და/ან ელექტრონული პროდუქტი, ან მისი ასლი: მოხსენებების რეზიუმეების კრებული, ან სრული მოხსენებების კრებული, ან პუბლიკაციის ანონსი და სხვა;

გ) გრანტის მიმღების საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობის ამსახველი ვიზუალური მასალა: ფოტო, ვიდეო, DVD, სასტენდო მოხსენების ასლი.

3. გრანტის მიმღების მიერ წარმოდგენილი საბოლოო ანგარიში, აგრეთვე მოხსენების რეზიუმეები ქართულსა და ინგლისურ ენაზე შესაძლებელია გამოყენებული იქნას ფონდის მიერ მისი ვებ-გვერდზე განთავსების, საქმიანობის ანგარიშში ჩართვის, სხვა ბეჭდვით ან ელექტრონულ პროდუქციაში გამოყენების მიზნით.

დანართი №1

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი
მოკლევადიანი ინდივიდუალური სამოგზაურო სახელმწიფო გრანტები
2010 წელს საერთაშორისო ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად

საკონკურსო განაცხადის ფორმა

1. პირადი მონაცემები

1.	სახელი (ქართულად)	
2.	სახელი (ინგლისურად)	
3.	გვარი (ქართულად)	
4.	გვარი (ინგლისურად)	
5.	მამის სახელი	
6.	პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ნომერი და პირადი ნომერი	
7.	საქართველოს მოქალაქის პასპორტის ნომერი	
8.	დაბადების თარიღი (დღე/თვე//წელი)	
9.	დაბადების ადგილი (ქალაქი, სოფელი, დაბა)	
10.	მოქალაქეობა	
11.	საცხოვრებელი ადგილი – ფაქტიური მისამართი (ქალაქისა და ინდექსის მითითებით)	
12.	ტელეფონი, ფაქსი	
13.	ელექტრონული ფოსტა	

2. ინფორმაცია საერთაშორისო ღონისძიების შესახებ

		ქართულად	ინგლისურად
1.	ქვეყანა, სადაც ტარდება ღონისძიება		
2.	ქალაქი		
3.	ღონისძიების დასახელება/თემა		
4.	ღონისძიების ორგანიზატორი (დასახელება)		
5.	საკონტაქტო პირი		

6.	ღონისძიების ჩატარების თარიღები (დაწყება-დასრულება)	
7.	ღონისძიების მისამართი ინტერნეტში (ვებგვერდი)	
8.	ორგანიზატორის მისამართი	
9.	ორგანიზატორის ტელეფონი, ფაქსი, ელფოსტა	
10.	საკონტაქტო პირის კოორდინატები (ელფოსტა)	

3. ინფორმაცია გრანტის მაძიებლის მოხსენების შესახებ

		ქართულად	ინგლისურად
1.	მოხსენების/სასტენდო მოხსენების სათაური		

2.	ღონისძიებაზე მომხსენებლის სტატუსი (აღნიშნეთ უჯრაში ნიშნით X):	ზეპირი მომხსენებელი პლენარულ სხდომაზე	
		ზეპირი მომხსენებელი სექციის სხდომაზე	
		სასტენდო მომხსენების წარმომდგენი	
2.	ღონისძიებაზე მომხსენებლის სტატუსი (აღნიშნეთ უჯრაში ნიშნით X):	საორგანიზაციო კომიტეტის (თანა)თავმჯდომარე ან თავმჯდომარის მოადგილე	
2.	ღონისძიებაზე მომხსენებლის სტატუსი (აღნიშნეთ უჯრაში ნიშნით X):	საორგანიზაციო კომიტეტის წევრი ან/და სხდომის (თანა)თავმჯდომარე	

<u>შენიშვნა: იმ შემთხვევაში, თუ ღონისძიებაზე წარდგენილია ერთზე მეტი მოხსენება, გთხოვთ შეავსოთ ცხრილი №3 თითოეულ მათგანზე</u>

<u>4. ფონდიდან მოთხოვნილი თანხა, ლარებში (ციფრებით და სიტყვიერად):</u> _____

_____

<u>5. პროფესიული ინფორმაცია გრანტის მაძიებლის შესახებ</u>

5.1. განათლება *(გთხოვთ, მიუთითოთ ყველა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, სადაც მიგიღიათ განათლება, მათ შორის ასპირანტურა/დოქტორანტურა, განაცხადს თან დაერთოს შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი)*

	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება)	პერიოდი (წლები)	სპეციალობა და ხარისხი
1.			
2.			
3.			

5.2. სამუშაო გამოცდილება *(გთხოვთ, მიუთითოთ უკანასკნელი სამი თანამდებობა, განაცხადს თან დაერთოს ინფორმაცია კონკურსის მონაწილის სამუშაო ადგილის შესახებ, დადასტურებული დამსაქმებლის მიერ)*

	ორგანიზაციის დასახელება	პერიოდი (წლები)	თანამდებობა
1.			
2.			
3.			

<u>6. პუბლიკაციები</u> *ჩამოთვალეთ, თქვენი აზრით, თქვენი 3 ყველაზე მნიშვნელოვანი პუბლიკაცია ღონისძიების შესაბამის სამეცნიერო სფეროში, გამოქვეყნებული უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში (მიუთითეთ პუბლიკაციის სათაური, ჟურნალის/გამომცემლობის/კრებულის/ვებგვერდის სრული დასახელება, № და წელი, პუბლიკაციის გვერდები. განაცხადს თან უნდა ახლდეს მითითებული პუბლიკაციების ასლები)*

1.
2.
3.

<u>7. სამეცნიერო საგრანტო პროექტებში მონაწილეობა</u>

შენიშვნა: უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში საერთაშორისო ან ეროვნული გრანტებით განხორციელებულ სამეცნიერო პროექტებში მონაწილეობა, მიუთითეთ არაუმეტეს 3-სა.

	წლები	როლი პროექტში	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია
1				
2				

3				

8. ღონისძიების სამუშაო ენის ფლობა

შენიშვნა: გთხოვთ ცხრილში მიუთითოთ, ღონისძიების რომელ სამუშაო ენებს ფლობთ და შეაფასოთ მათი ცოდნა. გთხოვთ აღნიშნოთ ნებისმიერი ფორმით

№	ენის დასახელება	დამწყები	ლექსიკონით	საშუალოდ	კარგად	თავისუფლად
1.		☐	☐	☐	☐	☐
2.		☐	☐	☐	☐	☐
3.		☐	☐	☐	☐	☐
4.		☐	☐	☐	☐	☐

გავეცანი კონკურსის პროგრამასა და პირობებს და ვაღიარებს მის სავალდებულო დაცვას. ვადასტურებ, რომ ჩემ მიერ მოწოდებული ინფორმაცია ზუსტია და არ შეიცავს ყალბ მონაცემებს. ამასთანავე, ფონდს ვაძლევ უფლებას, ნებისმიერ დროს გადაამოწმოს მოწოდებული ინფორმაციის სიზუსტე. ვაცნობიერებ, რომ ფონდის მიერ ნებისმიერი სახის ყალბი მონაცემის აღმოჩენის შემთხვევაში, ჩემი განაცხადი საკონკურსოდ არ განიხილება.

_____ _____

თარიღი ხელმოწერა

დანართი 2

დამტკიცებულია სსიპ – შოთა რუსთაველის
ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური
დირექტორის 2010 წლის 22 ივლისის
№ 23 ბრძანებით

ბიუჯეტის ფორმა

		ფონდიდან მოთხოვნილი თანხა			დაფინანსების სხვა წყაროები (თანადაფინანსება)		
	ხარჯვის კატეგორია	ერთეულის ღირებულება (ვალუტა)	ჯამური ღირებულება (ვალუტა)	ჯამური ღირებულება (ლარი)	ჯამური ღირებულება შესაბამის უცხოურ ვალუტაში (ვალუტის მითითებით)	თანადამფინანსებელი ორგანიზაციის დასახელება	შენიშვნა
1.	საერთაშორისო მგზავრობა (მიუთითეთ ტრანსპორტის სახეობა ავიარეისი, მატარებელი და ა.შ.)						
2.	ქვეყნის ფარგლებს გარეთ ტრანსპორტის (ავტობუსი, მიკროავტობუსი, ტაქსი) დაქირავების ხარჯები						
3.	საცხოვრებელი ფართის დაქირავების/სასტუმროს ხარჯი (1კაცი/1დღე)						
4.	სადღეღამისო ხარჯები (1კაცი/1დღე)						
5.	ღონისძიებაზე მონაწილეობის/სარეგისტრაციო გადასახადი						
6.	ვიზა						
7.	სამოგზაურო დაზღვევა						
				სულ:			

სულ ფონდიდან მოთხოვნილი თანხა (ლარი): _____

სულ თანადაფინანსება (თანადაფინანსების ვალუტის ჩვენებით): _____

შენიშვნა:

1. ხარჯვის კატეგორიის ჯამური ღირებულება ლარებში დაიანგარიშეთ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაფიქსირებული საშუალო კურსის მიხედვით (www.nbg.gov.ge).
2. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ხარჯვის კატეგორიის ღირებულება ფიქსირდება მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში, მისი გადაყვანა უცხოურ ვალუტაში საჭირო არ არის.